

*0.25*  
სიმღერა გვარისი.

ნაკადები ვ კ გ ი  
ვ ე ნ ა ხ ი ს .  
გ ა მ ე ნ ე ბ ა .

(ქოვლე დორიგება).

„გვარის“ პარაგვაული გამოშვა,



НУТАИСЪ. 1901

„Коммерческая“ Типография В. Чиладзе и К°



სიმონ ქვარაიძე.

# ნამყენი ვაზით ვენაცის გამენება.

(მოკლე დარიგება).

„გვარის“ ახენაგოვის გამოცემა.



გვთავის. 1901.

„პომერციული“ საბეჭდავი 3. ჭილაძისა და ამხ.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 9 Ноября 1901 г.



## 1. რათ დაგვჰილდა ნაშენი ვაზი.



ს თორმეტი წელიწადია და მეტიც  
რაც ფილოქსერა გაჩდა ზემო იმე-  
რეთში და იწყო ვენახის განადგუ-  
რება. ეს მწერი თან და თან მოედო მთელს  
ღასავლეთ საქართველოს და გადვიდა ქართლ-  
შიაც კი. პრ გაივლის ბევრი ხანი და მთელი  
კავკასია იქნება შეპყრობილი ამ სასტიკი სენით.  
მას ვერ აკავებს ვერც მაღალი მთები და ხშირი  
ტყეები, ვერც ზღვა და ოკეანი; იგი ისხამს  
ფრთას და გადმოაქვს ქარს ათ-თუთხმეტ ვერს-  
ზედ, იგი მოყვება შორს ქვეყნიდან მოტანილ  
ვაზებს (ლერწს) და, ასე გაშინჯე, ადამიანის  
სამოსელსაც კი. ღიღი ზარალი მისცა ფილო-  
ქსერამ ჩვენს იმერეთს, მაგრამ ეს უბრალო  
წვეთია იმ საშინელ ზარალთან შედარებით,

რომელიც დამართა ამ პაწია მწერმა ევროპას  
და კერძოთ საფრანგეთს, საღაც გაანადგურა  
ოთხი და ხუთი მილიონი ქცევა ვენახი და  
მისცა ხალხს შვიდი-რვა ათასი მილიონი მა-  
ნეთის ზარალი.

ბევრი საშუალება იხმარეს ამ მწერის მი-  
მართ, მაგრამ ვერას გახდენ. დღეს ერთად ერთ  
საშუალებათ არის ცნობილი ამერიკული  
ანუ მწარე ვაზები, რომელნიც სამუ-  
დამოდ უძლებენ ფილოქსერას. ამათ-  
ზედ მყნიან ადგილობრივ ვაზებს და მით აშე-  
ნებენ ვენახს გაღაბრუნებულ მიწაზედ. ამ რი-  
გად გაშენებული ვენახი იძლევა მცტად ბევრს  
მოსავალს, კარგ ღვინოს და ძლებს დიდხანს.  
ამ რიგად აშენებენ ვენახს ევროპაში, ამ გზას  
უნდა დავადგეთ ჩვენც და დავადეჭით კიდევ;  
ეს ოთხი-ხუთი წელია რაც დაიწყეს იმპრეთში  
ამერიკულ ვაზზედ ნამყენით ვენახის კეთება.  
მს არის თითქმის ერთად ერთი სა-  
შუალება ფილოქსერის წინააღმდეგ.



## 2. სავენახე მიწის დამზადება.



აზი საზოგადოთ ცნობილია როგორც  
ლონიქრი მცენარე, მისთვის არაა  
საჭირო მეტად მსუქანი შავი მიწები;  
ნოკი ჭაობიანი ადგილი მისთვის ხომ სიკვდილია.  
ვაზს უყვარს მწალტე და მშრალი მიწები; ფერდი  
ადგილი მისი საუკეთესო ბინაა და იძლევა  
შვენიერ ღვინოს; არ ძულს ოდნავ დაფენებული  
და ვაკე ადგილებიც, თუ მწალტე მიწებია;  
ვარგობს ეგრეთვე ხმელს, ეწერს და ქვიშნარ  
მიწებზედ და იძლევა მეტად მაგარს ან ტკბილს  
ლიქორულ ღვინოს.

**მაგრამ** დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მი-  
წის დამზადებას. **მიწა** საუკუნო ბინაა და საზრდო  
მცენარისათვის. **თვით** მიწა მცტად რთულია  
და შემდგარი მრავალ სხვა და სხვა საგნებიდან.

ზოგი მათგანი ჭარბობს, ზოგიც აკლია და უნდა შეემატოს ხელოვნურად, ზოგიც უნდა გარდიქმნეს სასარგებლო მასალად მზისა და ჰაერის ზეგავლენით. ამიტომ აუცილებელი საჭიროა მიწის გადაბრუნება — გაფხვიერება სამი ჩარეჭის სილრმემდე მაინც თუ მეტი არა. არავითარი კელა და სასუქი ისე არ რგებს მიწას, როგორც გადაბრუნება.

მზის, ჰაერის, წვიმის და ყინვა-სიცივის ზეგავლენით გადაბრუნებული მიწა ფხვიერდება, კარგავს სიმკვრივეს და ზედ მეტ სინესტეს ან სიმშრალეს, ეძლევა შესაფერი ლამი, რომელიც არ შრება ძლიერ გვალვაშიაც კი; თუ მეტადრე გაუფხვიერეთ ზედა პირი; უსარგებლონივთიერებანი, ე. ი. მიწის უხსნელი მარილები ხდებიან გასახსნელნი და მით სასარგებლონი; ამ რიგათ მიწა პოხიერდება და ნაყოფიერდება, რაც ფრიად საჭიროა ყველა მცენარისთვის. მრთი სიტყვით, გადაბრუნებულ მიწაში ყოველი მცენარე მით უმეტეს ვაზი თავისუფლათ უშვებს ირგვლივ თავის ძირებს, მაგრდება მკვიდრათ და ჰპოვებს საჭირო ლამსა და საზრდოს. ამ რიგად მცენარე უფრო ღონიერია, გამძლე და ნაყოფიერი, სწორეთ ეს არის საჭირო.

როდის უნდა გადაბრუნდეს მიწა? მიწა ბრუნდება ზაფხულში, შამოდეგზედ და ზამ-

თარში. ყველაზედ უკეთესი დროა შუა წიფო-  
ბისთვიდან იანვრამდე. ამ დროს მუშა უფრო  
მოცლილია, ნიადაგი სველი და ლბილი, ამით  
კი მიწის მუშაობა უფრო აღვილა და ეფალ  
ჯდება. მასთან ხშირი წვიმის და სიცივის გამო  
მიწა იშლება და ფხვიერდება, ხოლო ვაზების  
დარგვამდე ორი თვით ადრე მაინც უნდა იყოს  
მიწა გადაბრუნებული; თუ ექვსი თვით ან ერთი  
წლით ადრე დამზადდება ნიადაგი კიდევ უკე-  
თესი.

**ჟ**ველას ჯობია ბარით გადაბრუნება, ხოლო  
იგი დიდ ჯაფას ითხოვს და მით ძვრად ჯდება.  
**ბ**ევრად ეფია გუთნით გადაბრუნება. ხმარობენ  
ორს გუთანს: ერთი მიდის წინ და აბრუნებს  
მიწას შვიდ-რვა გოჯამდე, მეორე იმ კვალშივე  
მიყვება უკან და ალრმავებს კიდევ ხუთ-ექვს გო-  
ჯამდე. მიწის ამ რიგად გადაბრუნება შეიძლება  
უფრო ვაკეზე და ოდნავ დაფენილ ადგილებზე.  
**მ**იწის საბრუნებლად ხმარობენ ეგრეთვე ორთქ-  
ლის გუთნებს; ერთი ამ გვარი გუთანი აქვს  
საქარის საჩქოლეს და მსურველს შეუძლია  
იქირაოს იგი.

**თ**უ ბარით აბრუნებთ მიწას, ჯერ უნდა  
გააბათ ლარი ორპირად და გათხაროთ ქვემო-  
დან თხრილი გრძლათ სიგანით ერთი არშინი  
ან არშინ ნახევარი და სილრმით სამი ჩა-

რექი.\* უნდა მიყვეთ ზეიდან ლარითვე ბარით და ჰყაროთ შიგ მიწა; დიდი ბელტები უნდა დაფუნდნა; მასთან უნდა, ამოყარო სხვილი ქვებიც. ამ რიგად გაკეთდება გვერდით იმ გვარივე მეორესწორი თხრილი; ამას ააცხებთ და გაკეთდება მესამე, მეოთხე, მეათე და სხ.

ესენი თან და თან აიცხებიან მათ გვერდით მდებარე მიწით და სულ პოლოს ზეით დარჩება შეუსებლათ ერთი თხრილი, რომელიც შეგიძლია აავსოთ პირველი თხრილის გადანაყარ მიწით. ამ რიგად ბრუნდება და მზატდება სავენახე მიწა; ზეითა ნაწილი იყრება ძრს, ქვეშა კი ზეით. მჭვი არაა, სავენახე ადგილი უნდა გქონდეთ კარგათ შეკავებული, რომ არ შეგივიდეთ საქონელი (ხვადაგი) და არ დაჯეგნოს გადაბრუნებული მიწა.

**მიწა ანუ ნიაღაგი შესდგება ორის შრესაგან:** ზეადაგიდან და ქვეადაგიდან. თუ ორივეში ცოტა კირია, მაშინ უნდა გადაბრუნდეს ორივე ისთე როგორც წინეთ ვთქვით; თუ ზეადაგში არაა ან ცოტაა კირი, ქვეადაგში

\*.) ჩვენში ე. ი. იმერეთში და გურია-სამეგრელოში სრულიად საკმარისია მიწის სამ ჩარექზედ გადაბრუნება, რადგან საქმაო ლამიანი ჰავა გვაქვს; ხმელსა და ცხელს მზარეებში კი აჯობებს მიწის ერთ არშინზედ მიინც გადაბრუნება; რადგან ვაზის ფესვები მიწაში ღრმად უნდა წავიდეს.

კი ბევრია, მაშინ ქვეადაგი უნდა დარჩეს უხლებლად (მხოლოდ ოქვე უნდა გააფხვიეროთ) და მარტო ზეადაგი უნდა გადაბრუნდეს; თუ ზეადაგში ბევრი კირია, ქვეადაგში კი არა, მაშინ უნდა გადაბრუნდეს ორივე, ე. ი ზეადაგი ქვეშ უნდა მოყვეს, ქვეადაგი კი ზეით, ეს ასე მიტომ კეთდება, რომ ამერიკულ ვაზებს საზოგადოთ ვნებს კირი.

**ძლიერ** ფერდობზედ, სადაც გადაბრუნებული მიწა თავს ვერ დაიჭერს, უნდა დასტოვოთ გადაბრუნების დროს ყოველ ეჭის ან რვა საჟნზედ ხტულები (დაუბარავი მიწა) : სიგრძისად, სიგანით ერთი არშინი ან არშინ ნახევარი. მს ხტულები შეაკავებენ გადაბრუნებულ მიწას; უამისოდ კი ამ მიწას ჩამორეცხვნ წვიმა-ნიალვრები და დასტოვებენ ფხეკს, რაც ბევრს დამართეს ზემო იმურეთში.

**საზოგადოთ** მიწა უნდა გადაბრუნდეს პირწმინდათ და არა ნაჭერ-ნაჭერათ და გაბოლთხრილებათ, როგორც გააკეთეს ზოგმა ჩვენში. მს დიდათ მავნებელია, ვინაიდან ამ თხრილებში დგება ზამთარ-გაზაფხულზე წყალი და ალპობს ვაზის ძირებს; ეგრეთვე თხრილში ვაზის ფესვები ვერ ხეირობენ როგორც რიგია. მასთან თხრილების კეთება არც ისე ეფალ ჯდება, როგორც ჰეგონიათ; საგულისხმოა ის ფაქტიც,

რომ გადაბრუნებულ მიწაზედ გაშენებულ ვენახს მესამე წელს მოაქს მოსავალი, თხროლებში ჩაყრილს კი მეხუთე-მეექვსე წელს.

3 ჩამოვას საჭიროებენ აგერიკული ვაჭები.



ოფორც ვიცით, ჩვენსა და ევროპის ვაზებს მყნიან ამერიკულზედ ფილოქსერის წინააღმდეგ, რადგან ამერიკულ ან მწარე ვაზის ფესვებს ვერას აკლებს ეს მწერი. ამერიკული ვაზები მძტად ბევრი ჯიშისაა, ზოგი მათგანი კ რგად უძლებს ფილოქსერას, ზოგი არა. გამძლეთა შორის ყველაზედ უფრო სამნიშვნელოა და გავრცელებული: რიპარია, რუპესტრის, ვიალა, სოლონის და ბერლანდიერი. მგრეთვე ვრცელდებიან ამ ბოლო დროს და კარგათ უძლებენ ფილოქსერას ევროპა-ამერიკულ ან თვით ამერიკულ ჯიშების ერთმანეთთან დაქორწინებით ხელოვნურად შექმნილი ვაზები, ჰიბრიდები. ჩვენში კი ამერიკულ ვაზებში ყველაზედ უფრო ცნობილია რიპარია და რუ-

პესტრისი (რუპესტრის მონტიკოლა). პირველი ე. ი. რიპარია მაღალი წვანე დიდ ფოთლიანი ვაზია, მეორე ანუ რუპესტრისი კი დაბალი წვრილ მოყვითლო ფოთლიანი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ვაზებივით ამერიკული ჯიშები ვერ ხეირობენ ერთსა და იმავე მიწაზედ; უკლა მათგანს სათითაოდ თავის შესაფერი მიწა უყვარს და თუ მათ ამგვარი ნიადაგი არ აურჩიეთ, ისინი ან სკდებიან ლერწად, აძლევენ საოცარ ზრდას და მით აცვენენ ნაყოფს, ან ემართებათ სიყვითლე (ხლოროზი) და ხმებიან კიდეც, თუ კიდევ სხვა წამლით არ უაქიმეთ ყოველ წლობით. ამიტომ აუცილებელი საჭიროა აარჩიოთ ვაზი მიწის შესაფერად.

როგორც ვიცით, მიწა ბევრგვარია; ზოგი შავი მსუქანი მიწაა, ზოგი თიხნარია, კირნარი, ქვიშნარი, სილნარი, კაფნარი, თირის მიწა და სხ. მასთან ზოგი ღრმა მსუქანი მიწებია, ზოგი მჭლე ეწერი, ზოგი მკერივი და ნესტიანი, ზოგი მშრალი და ქვიანი. ამ მიწების და გვარად უნდა აირჩის ამერიკული ვაზები.

რადგან ჩვენში ამ ხანად ვრცელდება მხოლოდ რიპარია და რუპესტრისი, ამიტომ განვიხილოთ თუ რა მიწებზედ ვარგობენ ისინი სათითაოდ.

1. რიპარია ყველაზედ უკეთესი, საყოველ-  
თაოდ უფრო გავრცელებული ჯიშია; იგი  
ძლიერ კარგად ითვისებს ნამყენს, კარგად ახა-  
რებს, ადრეამწიფებს ყურძენს და ბევრსაც ასხი-  
ვიებს. მისთვის საუკეთესო მიწებათ ითვლება  
ლრმა ფხვიერი, მსუქანი და ნოუიქრი მიწები,  
რომლებშიაც უნდა ერიოს ბევრი კირი. რი-  
პარია ვარგობს ეგრეთვე კაუნარ და სილნარ  
მიწებზედ, კაუნარ-თიხნარზედ, კაუნარ-კირნარ-  
ზედ და სხ., საზოგადოთ ყველა იმ მიწებზედ,  
რომლებზედაც ხეირობს წაბლის ხე. მს მი-  
წები უნდა იყოს ლრმა, ლამიანი და ნაყოფიერი.

2. რუპესტრის (რუპესტრის მონტიკოლა)  
ძლიერ გამძლე და ლონიერი ვაზია, ნამყენს  
ითვისებს კარგად და საკმარისად ასხმოვიებს.  
მსი შესაფერი მიწებია: მჭლე, ეწერი, მკური-  
ვე-თიხნარი, მკურივე-ნესტიანი, მშრალი-ევიშ-  
ნარი, კრნარი, კაუნარი და სხ. ამ ვაზის ნა-  
მყენებისთვის უნდა აირჩეს მჭლე ან საშკალო  
მიწა და არა მსუქანი, რადგან წავა ზრდაში  
და დაცვენს ნაყოფს (მტევნებს).

ამიტომ, როგორც კი მიწას გადააბრუნებ  
და შეიტყობ თუ რა თვისება ქონებია მას,  
იმის მიხედვით უნდა შეიძინო რიპარიაზედ ან  
რუპესტრიზედ გახარებული ნამყენები და გა-  
აშენო ვენახი.

ჩვენში ამას არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას და ვშიშობ, რომ არ მოყვეს სამწუხარო შედეგი.



#### 4. ნამყენი ვაზის არჩევა.



მერიკულ ვაზზედ კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს თვით ნამყენის არჩევას; ამაზედაპი დამყარებული ვენახის ლირსება, მოსხმა და მომავალი. ნამყენს აკეთებენ ჩვენში ან თვით მემამულენი (უფრო კი გლეხები) თავისათვის, ან ყიდულობენ კერძო და სახელმწიფო საჩქოლეებიდან. ნამყენის კეთება არც ისე ძნელია, ხოლო ბევრი წვრილმანი რამეების ასრულება არის საჭირო და ვინც მარადის ამ ხელობას არ მისდევს და თავისთვის უნდა გაიკეთოს 500 ან 1000 ძირი, მისთვის დიდ ხეირს არ წარმოადგენს ნამყენის კეთება. ბევრად უმჯობესია მან იყიდოს კარგად არჩეული ნამყენი საუკეთესო საჩქოლეებიდან. \*)

\*) ვისაც სურს გაეცნოს დამყნას და საჩქოლეს ვითარებას, მას მივუთითებთ ჩვენს წიგნზედ სათაურით: „აშერიკული ვაზით ვენახის გაშენება“.

რა. რიგად უნდა აირჩეს ნამყენი ვაზი?

1. ნამყენის ლერი არ უნდა იყოს არც მეტად სხვილი და არც მეტად წვრილი. წვრილი ნამყენი რჩება სუსტ ვაზად, სხვილი კი იძლევა მნიშვნელონიერ ბუჩქს, რომელიც ან აცვენს, ან სულ არ იძლევა ნაყოფს. მასთან ნამყენი არ უნდა იყოს არც მეტად გრძელი და არც სულ მოკლე.

გრძელი ნამყენის ფესვები იძულებულია ლრმად წავიდეს მიწაში და იქ ვერ პოვებს საკმაო სინოყიერებს; მასთან მეტი სინესტეც აფუჭებს. მოკლე ვაზის ძირები კი რჩებიან ზერერედ და აღვილად აფუჭებენ გვალვა და ყინვები. ასე რომ ნამყენი უნდა იყოს სიგრძით ხუთიდან უვიდეს გოჯამდე.

2) ნამყენი უნდას იყოს კარგად შეხორცებული, ისე მაგრად, რომ რაც უნდა ლონივრად გადასწიო არ უნდა გადატყდეს დამყნილ ალაგას და სხვაგან კი. ცუდათ დამყნის ან შეხოვის გამო ძლიერ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ნამყენი ვერ შეხორცებულა როგორც რიგია, დარჩენია ღიათ რომელიმე ნაწილი, შეპარვია შიდ წყალი, ჰაერი და დაულპია გული; ამგვარი ნამყენი გარეგნობით ჯან საღია, ლერწიც გაუკეთებია, ძირებიც აქვს, მაგრამ როგორც კი გადასწევ მაშინვე

გადატყვდება და გამოჩდება შავად ან მუქად  
დამპალი გული; ამისთანა ნამყენი ხშირად  
ხმება სამი-ოთხი წლის შემდეგ.

3) ნამყენი უნდა იყოს შენახული კარგად  
და საკმაო ფესვებიანი. ხშირად ხდება, რომ  
ამოლების შემდეგ ზამთარში ვერ ინახვენ ნა-  
მყენებს სარდაფში როგორც რიგია, ფესვები  
ან გახმობია სიმშრალის გამო, ან დაობებია  
და დალპობია მეტრს სინცსტით; ეჭვი არაა,  
ამისთანა ნამყენი სრულრად უვარგისია.

4) ნამყენი უნდა იყოს უსათუოდ სხმო-  
იარე ვაზის და ლერწის კვირტებიდან  
გაკეთებული. ამას კი ჩვენში ვგონებ არა-  
ვინ აქცევს ყურადღებას, მაშინ როდესაც ეს  
აუცილებელი საჭიროა. როგორც ვიცით, ვა-  
ზი მრავალი ჯიშისაა; მათში ზოგი ბევრს ის-  
ხამს, ზოგი ნაკლებს; ეგრეთვე ერთი და იმავე  
ვაზის (ჯიშის) ბუჩქები ზოგი კარგი მომსხმელია,  
ზოგი ცუდი. აი საჩქოლის შეგნებულმა და  
სინდისიერმა პატრონმა ან მეთაურმა სანამყე-  
ნედ იმ ვაზის ბუჩქები უნდა აირჩიოს რომე-  
ლიც უკეთ ისხამს და საკვირტედ ის ლერწე-  
ბი, რომელზედაც ესხა კარგად. მასთან სა-  
კვირტე ლერწები არ უნდა იყოს მოჭრილი  
არც ნორჩი ბუჩქიდან და არც ბებრიდან; თვით  
ლერწი არ უნდა იყოს არც წვრილი და არც

ძლიერ სხვილი. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ რიგად გაკეთაებული ნამყენი ხანგძლივიცაა და მეტად მომსხმელი.

ვაზის დამყნაც იმავე კანონს ემორჩილება, რასაც ხეხილი ე. ი. სხალი, ვაშლი, ატამი და სხ. ჩვენ ამათ სამყენად ვეძებთ სხმოიარე ხის ნაყოფიერ კვირტს; ისე უნდა ვეძიოთ ვაზისათვისაც. ს მწუხაროდ ამას მუშტარი თავითვე ვერ მიუხვდება, ეს არის საჩქოლის პატრონის კეთილ-სინდისიერებაზედ დამყარებული.

როგორც ვთქვით, თუ ისე რიგად აარჩიეთ ნამყენი და შეიძინეთ, იცოდეთ, რომ რაც უნდა ძვირად იყიდოთ, მაინც მოგებული ხართ, რადგან გაგიკეთდებათ კარგი სხმოიარე და გამძლე ვენახი; და თუ არ მისდიეთ ამას და იყიდეთ უვარგისი ნამყენები, იცოდეთ სულაც რომ გაჩუქონ მაინც ზარალია, რადგან მიწა გაგიცდებათ, შრომა დაგეკარგებათ და თქვენი ვენახი არაფრათ არ ეღირება. მს ამბავი ბევრს ემართება ჩვენში და ძლიერ სამწუხაროა. აქ უმთავრესი დანაშაული მიუძღვით საჩქოლეების პატრონთ, რომელნიც თითქმის ყველანი გაჰყოლიან მხოლოდ ვიწრო სიხარბეს და აწვდიან ხალხს უვარგისს ნამყენს. ჩვენ დავიარეთ იმერეთში თითქმის ყველა საჩქოლეები, ვნახეთ იმათ გაყიდულ ნამყენებით

გაშენებული ვენახები და სამწუხაროთ დავ-  
რწმუნდით ამაში. საჭიროა ამ ცუდ მოვლე-  
ნას მიექცეს საზოგადოებიდან და მთავრობი-  
დან ჯეროვანი ყურადღება, ვინაიდან ეს საქმე  
ცუდათ იმოქმედებს ხალხზედ, დააფრთხობს და  
გულს აუყრის ნამყენით ვენახების გაშენებაზედ,  
რომელიც ჩვენში ერთად ერთი საშვალებაა  
ფილოქსერის წინააღმდეგ.\*)

## 5. ნამყენი ვაჭის შენახვა დარგვამდე.



ვენში მუშტარს და გამჭუდეს ქა-  
როული ნამყენი მაჟ უფუძლებათ,  
რომ ბევრმა არ იცის მისი ოგიგიანათ  
შენახვა დარგვამდე. საჩქოლებს პატონი იძუ-  
ლებულია შამოდეგის გასულს ამოილოს ნამ-  
ყენები; გადაარჩიოს და შეიტყოს თუ რამდენი

\*.) ამ ბოროტებასთან საბრძოლელად, ხალხში მევენახობა-  
მელვინეობის ცოდნის მოსაფენაზ, და მეტადრე დაბალ ფასებში  
კარგის არჩეულ ნამყენების მისაცემად ამ მოკლე ხანში ქუთა-  
ისში დაარსდა მევენახობა-მელვინეობის იმხანგობა, სახლიდ  
„ზარი“. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ამხანგობის გამ-  
გეობას ქუთაისში და შეიძინონ მისგან როგორც ნამყენები ეგ-  
რეთვე მიიღონ სხვა და სხვა სამეურნეო დარიგებანი.

აქვს გასაყიდათ, მასთან იქონიოს მზათ მუშტ-რისთვის; ეგრეთვე მუშტარიც ეშურება მალე იყიდოს და იირჩიოს კარგი ნამყენი, რადგან მოთხოვნილება დიდია და თუ არ დაუჩქარა, ხშირად დარჩება კიდეც უვაზოთ, რაც არა იშვიათი მოვლენაა ჩვენში. მაგრამ ვთქვათ მიწა არა აქვს მზად, რომ მაშინვე დარგოს, რა უნდა ქნას? უნდა შეინახოს გაზაფხულამდე; რა რიგად?

**ძიროული ნამყენები უნდა შეინახოთ დარგვამდე ან სილაშიან სილნარ მიწაში.** სილა თუ მიწა არ უნდა იყოს არც მშრალი და არც ნესტიანი; ორივ შემთხვევაში წახდება ნამყენი: პირველი გამოახმობს მას, მეორე კი დაალპობს. **მიწა თუ სილა უნდა იყოს მომშრალო, ან ოდნავ ლამიანი.** იგი უნდა მოამზადოთ საღმე მითვარებულ ალაგას, რომ ქარი, წვიმა და სიცხე-სიცივე მას ვერ ხვდებოდეს, უმჯობესია საღმე შენობაში და ჩაფლა შიგ ნამყენები, ან სულ დაფარო ისინი სილით თუ მიწით, ან არა და დაფარო მხოლოდ ნახევარი, ე. ი. ქვეშა ნაწილი. **ხოლო უნდა გახსოვდეთ, რომ კონებათ არ შეკრათ ნამყენები და არ ჩაყაროთ ისე სილაში თუ მიწაში, არც დაახვავოთ ერთმანეთზედ.** იცოდეთ, რომ ამ რიგად ნამყენს ფეს-

ვები შეუხურდება, მოედება თეთრი აბი და  
წახდება ერთიანად. ამ რიგად ბევრს უფუძ-  
ლება ნამყენი. ნამყენები უნდა იყოს მოშო-  
რებული ერთი მეორესგან, ასე რომ ერთმა-  
ნეთს არ უნდა ეხებოდეს, შუაში კი სილა ან  
მიწა უნდა ქონდეთ ჩაყრილი.

ასე აზრიანად შენახული ძიროული ნამყე-  
ნები ინახება კარგად დარგვამდე, ამ რიგათ  
არავითარი ზარალი არ მოსდის არც საჩქა-  
ლის პატრონს და არც მევენახეს.



## 6. ნამყენი ვაჭის დარჩვა და პირველი მოვლა.



ფილს აღგილებში, მაგ, იმერეთში,  
სადაც ზამთრობით დიდი ყინვა  
არ იცის, შესაძლოა ნამყენი  
დაირგეს სავენახედ შუა შემოდგომიდგან ვიღ-  
რე გასვლამდე. მაგრამ ცივ ალაგებში კი,  
სადაც ყინვა მკაცრობს (როგორც ქართლშია),  
ეგრეთვე ცივს მკვრივე თიხნარ ნესტიან მი-

წებულ საჭიროა ნამყენი დაირგოს გაზაფხულზედ. ხოლო უნდა გახსოვდეთ, რომ ორივე შემთხვევაში მიწა უნდა იყოს ორი-სამი თვით მარც აღრე გადაბრუნებული და დამზადებული.

თუ ნიაღავი ძლიერ მკვრივეა, სასურველია მოეყაროს საკმარისად სილა (ქვიშა), თუ ეს მოსახტებებია; თუ მიწა მჭლეა, საჭიროა მისი კვლათი გასუქება; ორივე შემთხვევაში ეს უნდა მოხდეს ორი კვირით აღრე ვაზის დარგვამდე. ჩამდენიმე დღით აღრე ვაზის დარგვამდე უნდა მოასწოროთ მიწა, დაპლანოთ და ამოიღოთ ნამყენის ჩასარგავად ორმოები შვიდი-რვა გოჯა სილრმე-სიგანით. სასურველია ვაზი დაირგოს ისე უთავბოლოდ კი არა, როგორც ჩვენ ვაკეთებდით წინეთ, არამედ რიგზედ, შაკებათ, რომელიც უფრო უხდება ვენახს და ბევრად აადვილებს მუშაობას, მეტადრე ვისაც დიდი ზვარი აქვს და ცხენით მუშაობს. ვაზების და შაკების ერთმანეთთან სიშორე დამოკიდებულია მიწის თვისებაზე და ვაზის ხასიათზედ; ეგრეთვე გასხლაზედაც. თუ მიწა მსუქანია და ნოჟიერი, მასთან ვაზიც ღონიერი და გრძელ ლერწოვანი, როგორც მაგ., გძელ-შავი, ან ლონდლაბი, მაშინ შაკები უნდა დაშოროთ ერთ-მანეთს ორ არშინ ნახევრიდან ერთ საჟენამდე.

თვით ვაზები კი უნდა დააშოროთ ორით ან  
ორ არშინ ნახევრით. თუ მიწა მჭლეა და  
ვაზიც სუსტი (როგორც მაგ., ფრანგული  
პინა), მაშინ შაკებს შორის საქმარისია ორი  
არშინი და ვაზებ შორის არშინ ნახევარი.  
თუ მიწა საშუალო ღირსებისაა და ვაზიც  
საშუალო ღონის, როგორც მაგ., ციცქა,  
კრახუნა, ცოლიკაური, რქაწითელი და სხ.,  
მაშინ სრული. საქმარისია ვაზები დააშორო  
ერთმანეთს ორი არშინით და შაკები კი ორ  
არშინ ნახევრით.

ჟოველ შემთხვევაში უნდა ეცალოთ, რომ  
შაკებს მისცეთ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ  
მიმართულება და ხაზიც ამ რიგად უნდა გაავ-  
ლოთ. ამ გვარად ჩაყრილ ვენახს მზე პირ და  
პირ დაცქერის, ნაკლები ჩერო ადგება და  
მით ყურძენი უკაფთ მწიფდება. მასთან კარგია  
ამგვარი მ. მ. რთულება მეტადრე იმერეთში,  
მით რომ ვას ვერც ზენა ქარი წაახდენს იმ-  
დენად და ვერც ცივი ნესტიანი ქვენა შეა-  
წუხებს, მ. ტადრე თუ სინებზედაა გაბმული  
ვენახი. დაზიანდებიან მხოლოდ გვერდებზე  
ორიოდე შაკი და არა სხვა. ამასთანავე სა-  
სურველია ნამყენი დაირკოს შახმატურად ანუ  
ალმაცერად, ისე როგორც გვიჩვენებს აქვე  
სურათი პირველი:

ამ გვარად დარგულ ვაზს სათითაოდ უფრო  
მეტი მიწა და ჰაერი აქვს, ამიტომ უკეთ ხა-  
რობს და უკეთეს მოსავალსაც იძლევა.

დარგვის დროს უნდა ამოიღოთ სილიდან  
ან მიწიდან შენახული ნამყენები, უნდა წაჭ-  
რათ ფესვების წკვერტები (ბოლოები) და უნდა  
დარგოთ დამზადებულ ორმოებში. თუ ნია-  
დაგი ხმელი და მშრალია, კარგი იქნება თუ  
ვაზებს ჩაატანთ ორმოში მცირეოდენ დამწვარ  
კელას, ხოლო ისე რომ კელა ვაზის ფესვებს  
არ ეხებოდეს. ვაზს რო დარგავთ, ჯერ უნდა  
ჩაყაროთ მიწა, მით დაუფაროთ ფესვები და  
მერე უყავით კელა, შემდეგ ისევ მიწა და  
ყოველივე ეს ძლიერ კარგად უნდა მოიტკეპ-  
ნოს, ჯერ შუამდე რომ ჩაყრით მიწას მაშინ  
მოტკეპნით კარგად და მეორეთ როცა გაავ-  
სებთ თხრილს. ძელა მიცემს ვაზს ნოკიერებას  
და არ გამოულევს სილამეს. ფესვების წკვერ-  
ტის წაჭრას კი ის მიზანი აქვს, რომ აფხიზ-  
ლებს მცენარეს და იწვევს მას სამოქმედოთ.

მასთან ფესვები იკეთებენ ბევრს ფოჩებს და  
მით ლონიერდება ვაზი.

ამასთანავე დარგვის დროს ნამყენი უნდა  
გასხლათ ერთ-ორ კვირტზედ; თვით ნამყენი  
ალაგი უნდა ქონდეს მიწის ზედა პირის  
სისწორივ. როცა ორმო მიწით გაიგსება,  
ნამყენს ზეითა ნაწილი უნდა დაუფაროთ  
ფხვიერო მიწით, რომ ან ყინვამ და ან სიცივემ  
არ გააფუჭოს იგი.



## 7. ახალი ვენახის მოვლა მთელს ჭელიჭაღს



ოგორც კი დარგეთ ვაზები, მა-  
შინვე თითოულ ძირს უნდა  
მიუსოთ ხარდანი (ჭიგო) \*),  
რომელზედაც შემდეგ უნდა მიეკრას ვაზის  
ყლორტები. როგორც საერთოდ მიღებულია,  
ვენახს უნდა უწამლოთ შაბიაბანით ორ-სამ-  
ჯერ ზაფხულში, რომ არ გააფუჭოს მილდიუმ  
(ობმა) და ჭრაქმა. მასთან ვენახი უნდა გათოხ-  
ნოთ სამ-ოთხჯერ და იქონიოთ მეტად სუფ-

თაღ, მასთან შიგ არ უნდა დათესოთ არც  
სიმინდი, არც ლობიო და მეტალრე კვახი,  
ნესვი და სხვა ამგვარი მცენარენი, რასაც  
ჩადიან ჩვენში. მს მცენარენი ართმევენ მი-  
წას საზრდოს, ახშობენ ვენახს, ან ესტიანებენ  
და ამძლავრებენ ვაზის სხვა და სხვა სენს.

ვაზს უყვარს სისუფთავე, ბევრი  
ჰაერი და თავისუფლება. მას მოზია-  
რე არ უნდა ყავდეს ადგილში თუ  
გსურთ, რომ კარგი ვენახი გაიკი-  
თოთ.

როგორც თავში ვთქვით, ვენახი უნდა  
გქონდეთ მაგრათ და საფუძლიანად შეკავე-  
ბული და ირაფერ დროს შიგ პირ-  
უტყვი (ხვადაგი) არ შეუშვათ საძო-  
ვარად. წლის განმავალობაში თითოულ  
ვაზს ეჭივრება გამორჩეა, ბუშების ანუ ნამ-  
კრეების დაცლა და კვირკვობ-მარიობისთვეში  
ლერწის ბოლოების წაჭრაც ორ არშინს ან  
ორ არშინ ნახევარს რაც გადაემეტება; ყოვე-

\*) თუ ორ-სამ პროცენტიან გახსნილ სპილენძის შაბიაბაში  
(ე. ი. ათ ჩაფ წყალზედ ათი-თუთხმეტი გირვანქა შაბიაბანი)  
ჩაყრით რამდენიმე დღით კან გაცლილ ხარდანს და მერე დაას-  
თოთ, ამ რიგიდ ხარდანს ეძლევა ორ-სამჯერ მეტი გამძლეობა;  
იგი არ ლპება ადვილად. ამგვარივე სიმაგრე და გამძლეობა  
ეძლევა თოკს (ბაწარს), რაფიის და სხ.

ლივე ესა მეტად რგებს ვაზს, ამით მტევანი და მარცვალი უფრო მსხვილდებიან და მწიფ-დებიან უკეთ; თვით ვაზიც უფრო ლონიერ-დება, ლერწი (რქა) უსხვილდება, უმაგრდება და უმწიფდება.


ამ რიგად უნდა მოუარო ვენახს შემდეგ წლებშიაც.—ზოგი პირველსავე წელს და თითქმის ყველა ვაზები მეორე-მესამე წელს იზმენ ნიშანს, ე. ი. მოისხამენ, მაგრამ ბევრად უმჯობესია, რომ პირველ ორს წელს მაინც ყველა გამოლებული მტევნები დააცალოთ, მესამე წელს კი მტევნების რიცხვი შეუმციროთ, თუ ბევრი ეჭნა, რადგან ცნობილია, რომ ნაყოფიერება ყოველ ნორჩ მცენარეს ასუსტებს და ჩაგრავს, ამასვე უშვება ვაზსა. პირველ ორს წელს ჩვენ უნდა ვე-ცალოთ, რომ გავალონიეროთ ნორჩი ვაზი და არა დავასუსტოთ იგი ადრეულ ნაყოფიერობით. ერჯენვე გალონიერებული ვაზი დიდხანსაც ძლებს, კარგათაც უმაგრდება ყოველ-გვარ სენს და იძლევა ბევრს ნაყოფს, რომელ-საც ამწიფებს შვენივრად. დასუსტებული ვაზი კი ნამდვილი ზარილია. ის წაგავს წელში გაწყვეტილ საუღლე მოზვერს. იგი ვერც ნაყოფს იძლევა კარგსა, ვერც ამწიფებს რიგიანად და ვერც დიდხანს ძლებს. ამიტომ

ვიმეორებდ: ფრიად და ფრიად საჭიროა, რომ პირველ ორს წელიწადს მაინც არ შეარჩინოთ ვაზებს მტევნები; ეცადეთ ამ ვაზების გაღონიერებას თუ გსურთ იქონიოთ სანაჭებო ვზნახი.

რაც შეეხება ვაზის გასხლას, ჩვენ აქ არას ვიტყვით, ამაზე ჩვენ გვექნება ცალკე წიგნი. ვიტყვით მხოლოდ რომ, სუსტი ჯიშები და ვაზები უნდა გაისხლას მოკლედ, ღონიერი კი გძლად. მს საერთო კანონია. ვაზი უნდა გასხლათ ან ზამთრის პირს (თფილს აღგილებში) ან ახალ გაზაფხულს; ნამყენი ვაზიც ისე უნდა გაისხლას, როგორც არა ნამყენი; მხოლოდ მეროპაში არის ცნობილი სხვა და სხვა საუკეთესო გასხლა, რომელიც უნდა შემოვიღოთ ჩვენც და რომელზედაც გვექნება ცალკე საუბარი.

თუ შენიშნეთ, რომ ვაზები მეტად გაღონიერდენ, ჰრდაში მიღიან და ყურძენს არ ისხამენ ან აცვენენ მტევნებს, ამისთანა ვაზი უნდა გასხლათ გრძლად, უნდა დაუტოვოთ ბევრი ნეკები და ლერწები. მგრეთვე მოსხმის-თვის მეტად რგებს ნაცარი (ტუტა); იგი უნდა აირიოს მიწაში, ან სილაში, მოეყაროს ვენახს მიწაზედ და აიხნას ან აითოხნოს. ნაცარში

არის ერთგვარი ნივთი, რასაც ქვია კალი  
და რომელიც აძლევს ვაზის ნაყოფიერობას;  
ნაცარი რგებს ეგრეთვე ხეხილსაც; ბევრის  
მიყრა კი არაა საჭირო.



## 8. ახალი ვენახის უკირატესობა ქველზედ.



ევრი ცრუ ხმები გავრცელდა ამე-  
რიკულ ვაზის ნამყენზედ. ზოგი ამ-  
ბობდა ცუდი ღვინო დაუდგებაო;  
ზოგი ბრძანებს მისი ღვინო არ იძელებსო,  
ზოგი გაიძახის ცოტა მოსხმა ექნებაო, ზოგს  
ახლაც ჯერა, რომ ნამყენი ფილოქსერას  
ვერ გაუძლებს და რვა-ათი წლის შემდეგ გახ-  
მებაო და სხ. საბერნიეროდ ყველა ეს ხმები  
სიცრუეზედ და უვიცობაზედ არიან აგებულნი.

არამც თუ ევროპაში, არამედ ჩვენშიაც კი  
რამდენიმე წლის მაგალითით დარწმუნდენ,  
რომ ყურძენიც ბევრი მოისხა ამ ახალმა ნამ-  
ყენებმა და ღვინოც უკეთესი დააყენა. მჭვი  
არაა, როცა ეს ახალი ნამყენები დამამაცდე-  
ბიან კიდევ უკეთ მოისხმენ და უკეთეს ღვი-

ნოს მოგვცემენ. მასთან თუმც ჩვენში ნამყენის ლვინო ჯერ არ გვიძვდლებია, რადგან სულ ახლა დავიწყეთ მისი მოშენება, მაგრამ ევროპაში თუთხმეტი და ოცი წლის ლვინოებია ნამყენ ვაზილან დაყენებული და ეს ლვინოები საუკეთესო ლვინოების ღირსებით არიან შემკულნი. თუ ევროპაში ასე ხდება, მაშ რატომ ჩვენშიაც არ უნდა მოხდეს იგივე?!

რაც შეეხება ნამყენის გამძლეობას ფილოქსერის წინააღმდეგ, ჩვენში ჯერ ვერას ვიტუვით, რადგან მხოლოდ ეს ოთხი-ხუთი წელია რაც დაიწყეს ნამყენის გაშენება, მაგრამ შვენიერი მაგალითი გვაქვს ევროპისა. მაგ., საფრანგეთში, სადაც ყველაზე მძტი ზარალი მისცა ფილოქსერამ, გაშენებულია დღეს ნამყენით თითქმის სამი მილიონი ქცევა ვენახი; ბევრი მათგანი ათი-თუთხმეტი წლისაა, ბევრი ოცი და ოცდახუთი წლის, არის ეგრეთვე ოცდაათი წლიანიც, მაგრამ ყველანი შვენივრად ხარობენ, უძლებენ ფილოქსერას და ისხამენ დღემდე. არავითარი სისუსტე მათ არ დატყობიათ, არც გამხმარან და არც ფილოქსერას უვნია მათთვის. თუ კი ეს ამბავი ხდება საფრანგეთში და მთელ ევროპაში, ეჭვი არა იგივე უნდა მოხდეს ჩვენშიაც რადგან ჩვენი და მათი ბუნება და მიწები თითქმის ერთი და

იგივეა. თვით ამერიკული ვაზის და ნამყენის ცხოვრება ემორჩილება ყველგან ერთსა და იმავე კანონს.

ამიტომ ნუ გვაქვს ნურავითარი შიში! დროა შევიგნოთ ყველამ, რომ ნამყენი და მით გაშენებული ახალი ვენახები მეტად გამძლენიც არიან, ვერას ვნებს მათ ფილოქსერა, ბევრსაც ისხამენ, კარგ ღვინოსაც იძლევიან და ღვინოც შვენივრად ძველობს. სახოგადოთ შენიშნულია, რომ ნამყენზედ უფრო ადრე და უკეთ მწიფდება ყურძენი ვიღრე არა ნამყენზედ.

გადაბრუნებამ ხომ მიწები გაასუქა და გააფხვიერა, მისცა ვაზს უკეთესი საზრდო-სავანე და მით ორ-სამჯერ მოუმატა მსხმორება და ღვინოს მოსავალი. მაგალითად, თუ წინად ძველებურად ნაკეთები ქცევა ვენახი იძლეოდა სამოცსა და ოთხმოცს ჩატს ღვინოს, დღეს ნაცვლად ქცევა გადაბრუნებულ მიწაზედ გაშენებული და კარგად მოცლილი ოთხი-ხუთი წლის ნამყენები იძლევიან ორასსა და სამას ჩატს ღვინოს. ძველისა და ახალ ვენახებ შორის განსხვავება ისე დიდია, რომ მეტად ბეცი და ბრიუვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამას ვერ მიხვდეს. ჩვენი ხალხი კი არც

ბეჭია და ორც ბრიყვი; პირ იქით იგია ძლიერ  
ფხიზელი და შეგნებული; მან ადვილად მიხვდა  
ახალის ვენახების დიდ უპირატესობას ძველზედ,  
მან შეიგნო ნამყენი ვაზის დიადი მნიშნელობა  
და აშენებს კიდევ მათ. სწორეთ საამური  
სურათი გადამშლია თვალწინ ზემო იმერეთში  
მოგზაურობის დროს; იქ არამც თუ კაცებს,  
არამედ ქალებს, ბავშებს და ღვდლებსაც კი  
ეჭავათ ხელში წალკატი, ბარი და ნიჩაფი,  
გამოფენილიყვენ მინდვრად ფერდობზედ და  
რაღაც საიდუმლო რწმენით და გატაცებით  
აბრუნებდენ მიწას ახალი ვენახების გასაშე-  
ნებლად. თვით აზნაურებსაც კი შენიშნავდით  
ხელში იმავე სამეურნეო იარაღებს, გლეხებთან  
ერთად აბრუნებდენ ისინიც მიწას და აკეთებ-  
დენ ახალ ვენახებს. მს სურათი საუკუნოდ  
დარჩება ჩემს ხსოვნაში. ამგვარ სურათს ხში-  
რად შეხვდებით ზემო იმერეთში, ამიტომ გუ-  
ლით გვწამს ჩვენი სრული გამარჯვება ფილოქ-  
სერაზედ და საქართველოს მევენახობის ბრწ-  
ყინვალე მომავალი.



## 9. რა მოელის ჩვენს გევენახობას.



ოგი ჭირი მარგებელიაო, ოქმულა, და ამ მარგებელ ჭირად შეიქნა ჩვენთვის ფილოქსერა. ამ ჭირმა გააფხიზლა ჩვენი ხალხი, აშორებს ნელ ნელა ძველს დახავსებულ წესს მევენახობისას და დააყენა ახალ გზაზედ. მიწის გადაბრუნებით, კარგი ნამყენების შეძენით, შესაფერ მიწაზედ დარგვით და აზრიანი მოვლით, ქცევა ვენახს შეუძლია მისცეს პატრონს სამჯერ და ოთხჯერ მეტი შემოსავალი ვინემ წინად. იმერეთში კი, სადაც აღვილის სივიწროვეა, ამ გარემოებას აქვს დიდი მნიშვნელობა.

ნამყენით ვენახის გაშენება დაიწყეს იმერეთში 1897 წლიდან და დღემდე გაუშენებიათ კიდეც 1140 ქცევა ვენახი. როგორც აღმოჩდა შეკრებილ ცნობებიდან, ყოველ

რუსის მთავრობა, თუ კი ნახავს, რომ ჩვენ  
შეგვიძლია მივაწოდოთ იმგვარივე ღვინო,  
ვინაიდან რუსის მთავრობის ინტერესია, რომ  
ფული არ გავიდეს საზღვარ გარეთ, არამედ  
დარჩეს შიგნით.

**მევენახობა** ცნობილია მეურნეობის ყველა-  
ზედ უფრო შემოსავლიან და სასარგებლო  
დარგად. **მევენახობას** მუდამ დიდი მნიშვნე-  
ლობა ქონდა ჩვენში და ამიცრიდან კიდევ  
მეტი მნიშვნელობა მიეცემა. **საჭიროა** ამ  
დარგს მიეცეს ჩვენში განსაკუთრებითი ყურა-  
დლება. **შართვები** სოფლის კეთილ დღეობა,  
მისი ნივთიერი წარმატება უმნიშვნელ დამოკი-  
დებული იქნება მევენახობა-მეღვინეობაზედ.  
**მევენახობა** უნდა შეიქნეს უუპირველეს დარ-  
გად ჩვენს მეურნეობაში; ამაშია სოფლელთა  
და მით ერის ნივთიერი კეთილ-დღეობა და  
მომავალი. **ამიტომ** ფრიად სასურველია ადგი-  
ლობრივმა მთავრობამ, გაზეთებმა და შეგნე-  
ბულმა საზოგადოებამ მიაქციონ ამ დარგს  
განსაკუთრებითი ყურადღება და აღმოუჩინონ  
მშრომელს და გაღვიძებულ ხალხს ზნეობრივი,  
გონებრივი და ქონებრივი დახმარება სწავლა-  
დარიგებით, ადვილად მისაწდომ იაფი სამეურ-  
ნეო სესხით, მეურნეთა ამხანაგობების დაარ-  
სებით, ჩარჩებთან ბრძოლით, ეცროპიულ მე-

ვენახობა-მეღვინეობის ცოდნის გავრცელებით  
და კავკასია-რუსეთის ბაზრების გახსნით და  
ვაძლოლით. მშვი არაა, ამგვარ პირობებში  
აღორძინდება ჩვენში ახალი მევენახობა, ახა-  
ლი მეღვინეობა და მით დაადგება ხალხი  
წარმატების ახალ გზას.

ამას მოითხოვს ერის კეთილ დღე-  
ობა, ამას მოითხოვს მთავრობის და  
საზოგადოების მთავარი ინტერესი...

ამიტომ კიდევ ვუსურვოთ ხალხს შრომა  
და კეთილ დღეობა ამ ახალ გზაზედ, მთავ-  
რობა-საზოგადოებას კი ამ ხალხისადმი ყურად-  
ღების მიქცევა და საჭირო დახმარება. დროა  
შევიგნოთ ყველამ მეურნეობის და კერძოთ  
მევენახობა-მეღვინეობის ღიადი მნიშვნელობა,  
დროა დავუახლოვდეთ ხალხს და დავეხმაროთ  
მას ამ მძიმე საქმეში!



63  
f 451



1901 წელი ბაზარი.